ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

(2023 წელი)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც სამსახურის დებულებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილებას, მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, შესრულებული სამუშაოების ვადების კონტროლს, არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს. ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას. არქიტექტურულ სამშენებლო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება 2 ეტაპად. 1 ეტაპი-სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება და 2 ეტაპი-არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. 2023 წლის განმავლობაში ზედამხედველობის და არქიტექტურის

სამსახურის მიერ მშენებლობისათვის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება მოხდა 11 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტის:

1. ინდ. საცხოვრებელი სახლი- ლელა ხეცაძე, სოფელი ხიდარი;
2. ინდ. საცხოვრებელი სახლი-მალხაზ სახვაძე, სოფელი უბისა;
3. საბავშვო ბაღი 50 ბავშვზე, სოფელი ხევი;
4. ინდ. საცხოვრებელი სახლი-დიმიტრი ჩადუნელი, სოფელი წაქვა;
5. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი- ნატო ვეფხვაძე, სოფელი ლეღვანი;
6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი- ნატო ვეფხვაძე, სოფელი ლეღვანი;
7. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-თეა მაღრაძე, სოფელი მარელისი;
8. ავტოსამრეცხაო-დავით არევაძე, დაბა ხარაგაული;
9. სპორტული მოედანი-ჰუნანი, სოფელი საქასრია;
10. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახი და გადასამუშავებელი შენობა-ლევან ბუაჩიძე, სოფელი ფარცხნალი;
11. კომერციული დანიშნულების სავაჭრო ობიექტი-თამაზ ლურსმანაშვილი, დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის N22.

ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამშენებლო პროექტების შეთანხმება 16 სხვადასხვა ობიექტზე: ამ ობიექტებს მიეკუთვნება როგორც პირველი კლასის შენობა ნაგებობები, რომლებზედაც პროექტის შეთანხმება ხდება

მარტივი ადმინისტრაციული წესით და რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად არ საჭიროებენ მშენებლობის ნებართვის გაცემას, აგრეთვე ის ობიექტები რომლებზედაც აუცილებელია მშენებლობის ნებართვის გაცემა, კერძოდ ეს ობიექტებია:

1. სოკარ ჯორჯია გაზის 125 გრძ. მეტრი 50 მმ-იანი გაზსადენი, დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის 6ბ;
2. ,,ავერსი ფარმა"-ს ფასადის რეაბილიტაცია- დაბა ხარაგაულის სოლომონ მეფის N29-31;
3. ინდ. საცხოვრებელი სახლი- ლელა ხეცაძე, სოფელი ხიდარი;
4. საბავშვო ბაღი 50 ბავშვზე, სოფელი ხევი;
5. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი- ნატო ვეფხვაძე, სოფელი ლეღვანი;
6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი- ნატო ვეფხვაძე, სოფელი ლეღვანი;
7. ინდ. საცხოვრებელი სახლი-დიმიტრი ჩადუნელი, სოფელი წაქვა;
8. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-თეა მაღრაძე, სოფელი მარელისი;
9. ავტოსამრეცხაო-დავით არევაძე, დაბა ხარაგაული;
10. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-დარეჯან ექვთიმიშვილი, სოფელი ქვები;
11. სავაჭრო ობიექტი-გელა ტაბატაძე, სოფელი ხევი;
12. ამხანაგობა ,,ვარდისუბნის" ნინო ნანეტაშვილის მიშენება, დაბა ხარაგაული დეკანოსიძის N3;
13. ამხანაგობა ,,ვარდისუბნის" ქეთევან ბარბაქაძის მიშენება, დაბა ხარაგაული დეკანოსიძის N3;
14. კავშირგაბმულობის ხაზი ,,დელტა კომი", სოფელი ზვარე;
15. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახი და გადასამუშავებელი შენობა-ლევან ბუაჩიძე, სოფელი ფარცხნალი;
16. სატელეფონო კანალიზაცია 26 მეტრი და ჭა - (სილქნეტი), დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქ N11

მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდა 9 ობიექტზე, კერძოდ:

1. ინდ. საცხოვრებელი სახლი- ლელა ხეცაძე, სოფელი ხიდარი;
2. საბავშვო ბაღი 50 ბავშვზე, სოფელი ხევი;
3. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი- ნატო ვეფხვაძე, სოფელი ლეღვანი;
4. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი- ნატო ვეფხვაძე, სოფელი ლეღვანი;
5. ინდ. საცხოვრებელი სახლი-დიმიტრი ჩადუნელი, სოფელი წაქვა;
6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-თეა მაღრაძე, სოფელი მარელისი;
7. ავტოსამრეცხაო-დავით არევაძე, დაბა ხარაგაული;

8. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-დარეჯან ექვთიმიშვილი, სოფელი ქვები;
9. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახი და გადასამუშავებელი შენობა-ლევან ბუაჩიძე, სოფელი ფარცხნალი;

განხორციელდა მშენებლობის ვადის გაგრძელება შემდეგ ობიექტებზე:

1. წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის II ეტაპი-დაბა ხარაგაული;
2. შ.პ.ს ,,მ. დ. გრუპი“ -მინი ბეტონის ქარხანა, სოფელი ბაზალეთი.

ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოვლინდა შემდეგი სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტები:

1) სოფელ წყალაფორეთში მოქალაქის მიერ უნებართვოდ მიმდინარეობდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, განხორციელდა მითითების ოქმის შედგენა, რომლის შემდგომ მოხდა დარღვევის გამოსწორება, მოწესრიგდა დოკუმენტაცია და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2) სოფელ ლაშეში მოქალაქე ახორციელებდა უნებართვო მშენებლობას, შესაბამისად მას მიეცა მითითება, მოწესრიგდა დოკუმენტაცია და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
3) სოფელ ხიდარში გამოვლენილ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, კერძოდ: მოქალაქე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე(ს.კ 36.13.32.025) აწარმოებდა უნებართვო მშენებლობას, აღნიშნულთან დაკავშირებით დაიწყო საქმის წარმოება სამშენებლო სამართალდარღვევის შესახებ, ამჟამად საქმის წარმოება შეწყვეტილია, ვინაიდან მოქალაქემ განახორციელა შენობის დემონტაჟი.

სამსახური მუდმივად ახორციელებს საჯარო ზედამხედველობას გაცემული მშენებლობის ნებართვების საჯარო ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელიდან, ბიუჯეტში შემოსულია 1507 ლ.

2023 წელში განხორციელდა 14 მშენებლობადამთავრებული ობიექტის ვარგისად აღიარებისათვის ექსპლუატაციაში მიღება:

1. სოფელ კიცხის საჯარო სკოლა-სოფელი კიცხი;
2. კომერციული ფართი-ეკატერინე ბოგვერაძე, დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა;
3. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-გოჩა შარიქაძე, სოფელი ფარცხნალი;
4. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ზურაბ თხელიძე, სოფელი საქასრია;
5. დამხმარე ნაგებობა-საბა გიორგაძე, სოფელი კიცხი;
6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი- სოსო სხილაძე რეკონსტრუქცია, სოფელი პატარა ვარძია;
7. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-კახაბერ შერგელაშვილი, სოფელი ბაზალეთი;
8. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-გიორგი აბულაშვილი, სოფელი უბისა;
9. კომერციული ფართი მაღაზია- ირაკლი წიქარიშვილი, სოფელი საქასრია;
10. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-სალომე გრიგალაშვილი, სოფელი ხუნევი;
11. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-ნადეჟნა სახვაძე, სოფელი უბისა;
12. ავტოსამრეცხაო-დავით არევაძე, დაბა ხარაგაული;
13. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-დარეჯან კიკნაძე, სოფელი საღანძილე;
14. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-მარი სულაქველიძე, სოფელი ღორეშა.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ყველა დაგეგმილ განსახორციელებელ პროექტზე შესაბამის სამსახურებთან და მერის 2020 წლის 30 იანვრის N49 173 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შემოწმების მიზნით შექმნილი კონტროლის ჯგუფთან ერთად განხორციელდა ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებზე.

სამსახური აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შეთანხმებაში და აღნიშნული სამუშაოების სწორად განხორციელების მონიტორინგში.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საკრებულოსა და მერიის სხვადასხვა სამსახურებთან.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა კომპენტენციის ფარგლებში შეისწავლა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე.

სამსახურის თანამშრომლები, დებულებით განსაზღვრული უფლებამოვალეობის გარდა, ჩართული არიან მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.